

„ჩვენ შეგვიძლია“ - ისინი ამტკიცებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს

მარი კოპოვიძე




14 ივნისის საქართველოში შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე აღინიშნა. თარიღს საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“ მასშტაბური ღონისძიებებით გამოეხმაურა. ორგანიზაციამ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „კულტურის ხელშეწყობის“ კონკურსის „უსაზღვრო შესაძლებლობების“ ფარგლებში პროექტი „ჩვენ შეგვიძლია“ განახორციელა. პროექტის ფარგ-

ლებში 7 ივნისიდან 14 ივნისის ჩათვლით გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეული სხვადასხვა კულტურული და სპორტული აქტივობებით, რომელშიც ოზურგეთის ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ტერიტორიაზე მცხოვრები შშმ პირები მონაწილეობდნენ. კვირეული საზეიმოდ 7 ივნისს კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა. შემდეგ მოეწყო საავტომობილო რალი. 12 ივნისს ჩატარდა ჩემპიონატი სპორტის ოთხ სახეობაში: ნარდში, შაშში, მკლავჭიდსა და მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრში მონაწილეობა სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში, ზურაბ ნასარაიამ, გუბერნატორის მოადგილემ, აკაკი შენგელიამ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ და მერის მოადგილე ირაკლი სირაძემ მიიღეს.

დასკვნითი ღონისძიება 14 ივნისს ფოლკლორის ცენტრში შედგა. მოეწყო კვირეულის ფარგლებში მომზადებული დოკუმენტური ფილმის ჩვენება და ფოტოგრაფიანა რომელზეც ასოციაცია გურიას წევრებმა და ფოტოგრაფმა გოგა ჩანადირმა ერთობლივად იმუშავეს. დაჯილდოვდნენ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილე გამარჯვებულები. ბოლო აკორდი კი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სცენაზე ჩატარებული კონცერტი იყო.

თამუნა ლურსმანაშვილი (ასოციაცია „გურია“ წევრი): კვირეული იყო იმის დასტური, რომ ჩვენ შეგვიძლია ცეკვა, სიმღერა, მეგობრობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა. რომ ჩვენ ვართ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. ძალიან მიხარია რომ ჩვენმა პროექტმა პოვა გამოხ-



გასულ შაბათს თბილისელმა და ოზურგეთელმა საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე გააცილა, ჟურნალისტი და გამომცემლობა „მერიდიანის“ რედაქტორი, გაზეთ „ალიონის“ კომპიუტერული სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი **დავით კუტუბიძე**

▶▶▶ გვ-2

▶▶▶ გვ-7

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი ბამოლის
1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 24 (10317) 17 ივნისი, 2019 წ. შპსი 60 თეთრი.

ანასეულის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა იწყება

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ანასეულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას იწყებს. მშენებლობის დაწყების შესაბამის ხელშეკრულებას ხელი კომპანიის დირექტორმა **ეკატერინე გალდავამ** და კონტრაქტორი კომპანია შპს „საბას“ დირექტორმა, **არჩილ ხაბურძანიამ** მოაწერეს. ანასეულს წყალი მრავალი წელია შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება, მოძველებულია ინფრასტრუქტურა და დიდია სასმელი წყლის დანაკარგიც. პროექტი ითვალისწინებს ახალი სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილ-ების, სატუმბო სადგურისა და ქსელის მოწყობას, ასევე, 700-მდე ოჯახის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას. ინფრასტრუქტურული სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 799 998 ლარით ფინანსდება. პროექტი 2020 წლის გაზაფხულზე დასრულდება, რის შემდეგაც ადგილობრივი მოსახლეობა 24-საათიანი, ხარისხიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

„სოფელი არ დაუშვებს კიდევ ერთი ჰესის მშენებლობას“, ანუ როგორ ჩაიშალა „ბჟუშქვისი 2“-ის პროექტის განხილვა

ალიონი. 8 ივნისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შამოქველში გამართული შშმ პირთა ბიზნესმენ **დავით ბაშუაშვილის** კუთვნილ „საქართველოს სამართავრობის ენერჯეტიკული კომპანიის“ წარმომადგენლებსა და ადგილობრივებს შორის, სიტყვიერი დაპირისპირებით დასრულდა. კომპანიის პროექტის მშენებლის, **ბიორბი მარგაბაძის** მიერ შშმ პირთა შრომითი, გააცნო ღირსებაზე უფრო მაღალ ფასს და ადგილობრივებისთვის მშენებლობის პროექტის დაპირისპირება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი „ბჟუშქვისი-2“-ის პროექტის გარშემო ითხოვდნენ ზუსტ ინფორმაციას.



საბოლოოდ ბიორბი მარგაბაძესა და რამდენიმე ადგილობრივს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა და შშმ პირთა შრომითი დაპირისპირება დაიწყო. შეხვედრამდე 20 წუთით ადრე სოფელ შამოქველში ცენტრში 20-მდე კაცი თუ იყო შეკრებილი, მაგრამ სოფლის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულის აივანზე გაკრული შავი ბანერი დიდი პროტესტის დასაწყისს გვაუწყებდა.

„სოფელი არ დაუშვებს კიდევ ერთი ჰესის მშენებლობას“ - ეწერა ბანერზე. სოფლის საჯარო სკოლის შენობაში კი, დანიშნულ დროს სოფლის მთლიანი სპექტრი იყო წარმოდგენილი, მათ შორის გამოცდილი ენერჯეტიკები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ენერგოსისტემებში პასუხსაუბრე თანამდებობებზე მუშაობდნენ. „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კომპანიას“ ინჟინერ-მშენებელი **დიმიტრი ეშვარი**, იურისტი **ტატია ტყეშელაშვილი**, გარემოს და-

ცვის სამსახურის წარმომადგენელი **ვალტერ ლომჯარია** და პროექტის ხელმძღვანელი **გიორგი მარგაბაძე** წარმოდგენდნენ. მუნიციპალიტეტიდან შეხვედრის კონსტრუქციულ ვითარებაში წარმართვას მერის პირველი მოადგილე **ალექსანდრე სურგულაძე** და მოადგილე **ირაკლი სირაძე** ცდილობდნენ. დავით ბეჟუაშვილის წარმომადგენლების და მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები დარბაზში შეკრებილი ადგილობრივებს სთხოვდნენ, მოესმინათ, რისთვის იყვნენ ისინი მოსულნი, რასაც დარ-

ბაზიდან სწრაფი რეპლიკა მოჰყვა: „**მხროლდ შამოქველის ინტარმენტიდან ბამომდინარე!**“ - „თქვენი ნების წინააღმდეგ არავინ წავა, ჯერ მოვეუსმინოთ, რას გვთავაზობენ. მეც ერთ-ერთი თქვენგანი ვარ დღეს - სთხოვა შემოქმედლებს ირაკლი სირაძემ. სირაძისაგან გამხნელებული გიორგი მარგაბაძე შეეცადა ვიდემოსალის გამოყენებით აეხსნა შემოქმედლებისათვის, თუ როგორ კარგ შედეგს იძლევა მცირე ჰესების ქსელი ავსტრიაში.“

▶▶▶ გვ-3



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**
- ერთი თვით - 2,40 ლარი,
 - სამი თვით - 7,20 ლარი,
 - 6 თვით - 14,40 ლარი,
 - ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100


საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ. №3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი
ოქმებათი აღიონზე
«აღიონით»

უმცველრა კურორტ გომისმთის საკითხებზე



კურორტ გომისმთის საკითხებზე, შეხვედრა გამართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში. შეხვედრაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ**, მოადგილე **გიორგი ლურჯუშვილიმ**, ქობულეთის მერთან **მირიან ქათამაძესთან**, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით მჭედლოშვილთან** და საქართველოს პარლამენტის წევრ, მაჟორიტარ **კობა ნაკაიძესთან** ერთად გომის მთის სამომავლო პერსპექტივებზე და განვითარების შესაძლებლობებზე ისაუბრეს. გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უკვე შეიმუშავა, მასზე მუშაობა გაუქმებული თემთა მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წელს დაიწყო და

ის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ამ ეტაპზე გეგმის დამტკიცების წინა სამუშაოები მიმდინარეობს. სწორედ, სივრცითი მოწყობის გეგმის ერთობლივად შემუშავების გზები განიხილეს ოზურგეთისა და ქობულეთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. აღნიშნული გულისხმობს კურორტზე ინფრასტრუქტურის მოწყობას, სწორად ჩამოყალიბებულ ურბანულ ელემენტებს. ასევე რეკონსტრუქციულ სივრცეებს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, კურორტ გომის მთის განვითარებას, როგორც მულტიმუნიციპალურ პროექტს, ქობულეთის მუნიციპალიტეტთან ერთად გეგმავს.

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, განცხადებით დაიწყო, ბიუროს მორიგი სხდომა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ლურჯუშვილიმ**. „ოზურგეთში, ძალიან საინტერესო აქტივობები გამართა შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში. თითოეული ჩვენგანის ერთ-ერთი მთავარი ვალდებულება სწორედ ინკლუზიური გარემოს შექმნა და ამ კუთხით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებაა. „აღნიშნა გიორგი ლურჯუშვილიმ. ბიურომ ორ საკითხზე იმსჯელა. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს ახლად არჩეული წევრი დავით მდინარაძე საკრებულოს კომისიების მუშაობაში უნდა ჩაერთოს. საკრებულო სხდომაზე კენჭს უყრის, დავით მდინარაძის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში მისი წევრობის შესახებ განკარგულებებს.

ერთად გავლილი ოთხი წელი...



7 ივნისს ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში ჩატარდა IV-პირველი კლასის გამოსაშვები ღონისძიება: „მსოფლიოს მერვე საოცრება“ (დამრიგებელი თამილა ქავთარაძე). ბავშვებმა წარმოადგინეს ოთხი წლის მანძილზე სკოლაში მიღებული ცოდნის გამოყენებით მსატყურული კითხვის, ცეკვისა და სიმღერის ნიმუშები. ღონისძიება მომხდარა მშობელთა აქტიური ჩართულობით. ბავშვებმა გაიხსენეს კურიოზები, რაც ამ წლების

მანძილზე გადახდათ კლასში, ლექსებითა და სიმღერებით მოეწონებინათ პედაგოგებს. ღონისძიებამ დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებაში. იყო თბილი მილოცვები. სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ფატი სორიძემ** სამომავლო გზები დაულოცა პატარებს და აღნიშნა, რომ მეორე სკოლას, ამ კლასის სახით, ღირსეული ცვლა ეზრდება. **თამილა ქავთარაძე.**

„ჩვენ უმჯობესია“- ისინი ატყობიანებენ რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს

მაურება, საზოგადოებამ მიგვიღო ისეთები როგორებიც ვართ. მინდა ვის-არგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ლანჩხუთის და ჩონატაურის შშმ პირთა ორგანიზაციებს თანამშრომლობისათვის, პროექტში აქტიური ჩართულობისთვის. მადლობა პროექტის დამფინანსებლებს. ყველა შშმ პირს მინდა მივულოცო დღევანდელი დღე და ვუსურვო რომ ჩვენი უფლებები იყოს დაცული. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის რომ კიდევ უფრო აქტიურები ვიყოთ. თანდათან ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება და ჩვენი ქალაქი იქნება ადაპტირებული და ყველასათვის

ხელმისაწვდომი. **რომან ლომაძე** (ასოციაცია „გურიას“ ხელმძღვანელი): პირველ რიგში მადლობა განათლების და მეცნიერების სამინისტროს ნდობისთვის და დახმარებისთვის. რაც შეეხება თვითონ კვირეულს ეს იყო სპორტული ჟინი, ლტოლვა გამარჯვებისკენ. რა თქმა უნდა აქ დამარცხებულები არ არიან. ჩვენ ყველამ ერთად გავიმარჯვეთ. თამაშად შეგვიძლია ვთქვათ რომ „ჩვენ შეგვიძლია“. სწორედ ჩვენი შესაძლებლობების გამოვლენაა კვირეულის მთავარი მიზანი.

ოზურგეთში ბავშვთა სასწრაფო დახმარების ახალი სამსახური დაიწყო ფუნქციონირებას



კითხვაზე, როდის? სამედიცინო საკითხებში კონსულტანტმა, მაია დვალაძემ გვიპასუხა რომ საგარეულოდ პირველი ივ-ლისიდან. **მაია დვალაძე:** ბავშვთა სასწრაფო დახმარების სამსახური ფუნქციონირებას დაიწყო მამინეკო როგორც კი გვექნება სამედიცინო ლიცენზია. ჯანდაცვის სამინისტროში ამ დღეებში გავაკეთებთ განაცხადს. ათი დღის ვადაში ადგილზე შეისწავლიან ჩვენს პირობებს, ტექნიკურ აღჭურვილობას, მანქანების გამართულობას, ექიმების, მედლების სერტიფიკატებს და შესაბამისად მოგვცემენ სახელმწიფო ლიცენზიას. ვფიქრობთ, საქმიანობას დაწყება შესაძლებელი იქნება 1 ივლისიდან. **— უკვე შეარჩიეთ სამედიცინო პერსონალი? ბევრია მსურველი თქვენთან მუშაობის დაწყების?**

შესაძლებლობებიდან გამომდინარე. **— რა ელერბა სასწრაფო სამედიცინო დახმარება ბავშვებისთვის?** **—** ჩვენი მომსახურების საფასური იქნება ბევრად დაბალი ვიდრე ხარისხი. ჩვენი ორი ახალი ორგანიზაციიდან არც ერთი არ არის გათვლილი ეკონომიკურ მოგებაზე. ექმნით იმისთვის, რომ არსებობს მოთხოვნა. ამ ეტაპზე მე თვითონ ცხრა წლის ბავშვით ვარ ოზურგეთში და დავინახე ბავშვთა სასწრაფოს საჭიროება. ზოგადაც სამედიცინო დახმარება ტექნიკურად და ფინანსურად შესანახად საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა. ფასი იქნება მაქსიმალურად ადეკვატური. ფაქტურად თვითღირებულება, თავისი ბევრით რომ შევინახოთ სტაფიც და მოვემსახუროთ მოსახლეობასაც. **— მოქმედებს თუ არა თქვენთან სახელმწიფო ან კერძო დაზღვევები?** **—** სადაზღვევო კომპანიებს უკვე ვესაუბრეთ. პრინციპში ყველა კორპორატიული დაზღვევის მინიმალურ პაკეტში სასწრაფო გადაუდებელი დახმარება არის ულიმიტო და ასე პროცენტით ფინანსდება. შესაბამისად სასწრაფოს გამოძახების შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ თავის ქოლ ცენტრს და ჩვენ, როგორც ერთადერთი პროვაიდერი ამ რეგიონში, შევასრულებთ სადაზღვეო კომპანიის შეკვეთას ან პირდაპირ ჩვენთან მოვლენ და ჩვენ დავაკავშირებთ. მოკლედ, ურთიერთობის მექანიზმზე ჩამოვყალიბდებით იმისთვის, რომ სერვისი იყო მარტივი მისაწოდებელი მომხმარებლისათვის, რომ პაციენტის პატრონმა დაკარგოს რაც შეიძლება ნაკლები დრო და ენერჯია. ამაზე გავთვლილი ჩვენი სერვისიც. ამ სამსახურის დადებითი ჩვეულებრივ სასწრაფო სამედიცინო სამსახურთან შედარებით არის ის, რომ უკვე სპეციალუზებული ბრევიდა მიღის ადგილზე. ექიმს აქვს უფლება დაწეროს დანიშნულება და დაფონდეს იქ არა განსაზღვრული დროით, არამედ საჭიროებისამებრ.

თანამშრომლების შერჩევა უკვე დაგასრულეთ. თავდაპირველად გვეყოლება ერთი ბრიგადა ვინაიდან შევისწავლეთ ოზურგეთის სამედიცინო ბაზარი, სადაც ეს იქნება პირველი კერძო სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ვიმუშავებთ საპილოტე პროგრამით. შემდგომ უკვე, სტატისტიკის გათვალისწინებით, დავამატებთ სხვა ბრიგადებსაც. ანუ, პირველ ეტაპზე 24 საათის განმავლობაში იქნება ერთი პედატრი, რომელიც მოემსახურება პაციენტებს. განაცხადებების საკმაო რაოდენობა იყო შემოსული ამიტომ ჩვენ ვგეგმავთ, პირველი ივნისიდან დავიწყეთ კიდევ ერთი ამბულატორიული სერვისის მიწოდება რომელიც იქნება ურეკში. ვინაიდან დაბა ურეკს ჰყავს ძალიან ბევრი სტუმარი. ამბულატორია იქ იქნება მუდმივად, მაგრამ ძირითადი დატვირთვა მოვა სეზონზე. ვიმუშავებთ მოთხოვნის შესაბამისად. ვინაიდან ეს არის კერძო დაწესებულება და სახელმწიფო პროგრამების და დახმარებების გარეშე უნდა შევინახოთ საკუთარი თავი ფინანსურად, გათვლებს გავაკეთებთ ჩვენი

ჩვენ ვესაუბრეთ ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებსაც. აქ არის სამი დაწესებულება, რომელსაც შეუძლიათ ბავშვების მიღება საჭიროების შემთხვევაში. ესენი არის ავერსის კლინიკა, ბავშვთა გადაუდებელი და მედიკუსი. ასევე გვაქვს ხელშეკრულება ქობულეთის, ბათუმის, თბილისის კლინიკებთან და ვითანამშრომლებთ იმის მიხედვით, რა მოცულობა გვექნება კონკრეტულ მომენტში. **ესაუბრა მარი კომოვი**

წიგნი „ელესა“



ანსამბლი „კრიმანჭული“ (მარცხნიდან, 1 რიგში): დიმიტრი მაღაჭონია, შალვა ჭანიშვილი, ნუზარ ხომერიკი, რეზო რამიშვილი, ბიძინა მუხამბაძე (ხელმძღვანელი), ანზორ არაბიძე. (მე-2 რიგში): შიშიკო კეჭაყაძე, ნოდარ არაბიძე, გურამ ლლონიძე, შიშიკო მუხამბაძე.

სამაღლობელი სიტყვები გამიჩნდა წიგნის „ელესა“ წაკითხვის შემდეგ. ჟურნალისტ ეთერ ქაღვიშვილის მიმართ, რომელმაც შემადგენლობა და გამეხსენებინა ყოველივე ის, რაც განიცდიდა იმ ხალხთან ურთიერთობის დროს, როცა მათთან ვეგობრობდი და ვმღეროდი. რომელი ერთი გავისხენო: ანზორ ტულუში, ომარ კვაჭანტირაძე და ერთად ვსწავლობდით სალოტბარო სკოლაში, ერთად დავამთავრეთ და ერთად ვმუშაობდით რაიონის სხვადასხვა ანსამბლებთან. რეზო რამიშვილი, იუმბორით სავე კაცი, როგორც ამ წიგნშია

დასაბუთი, გურული კაცის განსახიერებაა.

რეზო რამიშვილის ინიციატივით 1984 წელს შეიქმნა რაიკოლოპკავშირითან ანსამბლი „კრიმანჭული“, სადაც მე მიმიწვიეს ხელმძღვანელად.

რეზოს ორგანიზატორული ნიჭის წყალობით 1991 წლამდე იარსებდა ამ ანსამბლმა. არსებობის 7 წლის განმავლობაში „კრიმანჭული“ არაერთ კონკურსსა და ფესტივალზე გამოვიდა წარმატებით, ხოლო 1990 წელს ანსამბლი მოსკოვში მიიწვიეს, სადაც 5 კონცერტი გამართა. ანსამბლის თითოეულ წევრს სპეციალური დიპლომი და ფულადი ჯილდო გადაეცა.

(ამისთვის მასპინძლები სპეციალურად ოზურგეთში ჩამოვიდნენ).

როცა იმჟამინდელმა ხელისუფლებამ რაიკოლოპკავშირის თავმჯდომარე ტრისტან ქაღვიშვილი გაათავისუფლა თანამდებობიდან, ანსამბლის წევრებმა მოვილაპარაკეთ და სახლში ვესტუმრეთ. ძალიან გაუხარდა, რადგან ანსამბლის თითოეულ წევრს დიდ პატივს სცემდა. როცა სუფრასთან ვისხედით, ტრისტანმა თქვა: – ჩემი გათავისუფლება იმდენად არ მწყენია, ვიდრე ანსამბლის დაშლა მწყენია.

სამწუხაროდ „კრიმანჭულის“ 10 წვერიდან მე და გურამ ლლონიძე ვართ ცოცხალი. რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომლებიც ჩემს გვერდით მღეროდნენ: ჭიჭიკო კეჭაყაძე, კოტე ლელუკვაძე. ჩემი ნათესავები და მეგობრები...

2007 წლიდან სოფელ მამათის სახალხო ანსამბლ „ხელხავა“ ვხელმძღვანელობ, რომლის შემქმნელი ჩემი მეგობარი ანზორ ტულუში იყო. ამან გამაძვირა ამ ანსამბლთან მუშაობის, რადგან ფოლკლორში ერთი და იგივე სკოლა გვექონდა გავლილი.

სიმღერისადმი სიყვარული დიდ სიამოვნებას გვანიჭებს. ანზორის ჩათვლით არაერთი წევრი გამოაკლდა ანსამბლს, მაგრამ შევდგა სხვა ნიჭიერი მომღერლებით გავაკეთეთ და დღესაც „ხელხავა“ აგრძელებს იმ ტრადიციებს, რაც ანზორიმ დანერგა. ახლანაირად „ხელხავამ“ დისკზე 23 სიმღერა ჩაწერა.

ეთერ ქაღვიშვილის „ელესა“ იმ ადამიანების სახელების უკვდავყოფაა, რომლებმაც თავიანთი სიტყვა თქვეს ხელოვნებაში, ამა მომღერლებისთვის მაღალი ანაზღაურება როგორ შეიძლება, არ გასუქდეს და სიმღერაზე ხელი შეეშალოს. ამიტომ მომღერლებს უმეტესად სახელი რჩება.

არაერთი ანსამბლი ოზურგეთში, რომლებიც აგრძელებენ იმ ტრადიციებს, რაც ჩვენამდე მოიტანეს ჩვენმა სასიქალოლო მომღერლებმა. მათ

შორისა ანსამბლი „ელესა“, რომლის შემქმნელი და დამარშვრელი დიდი ხელოვანი გიორგი სალუქვაძეა.

ანსამბლი „აილინი“ 45 წელს ეზიდება ჰაბანს. არის არტ-გენის საპატრო წევრი, არაერთ ფოლკლორულ ღონისძიებაზე უსახელებია თავი. მასზე გადაღებულია არაერთი დოკუმენტური ფილმი.

არტ-გენის ჟიურის გადაწყვეტილებით „აილინი“ 2013 წელს, ინგლისში მსოფლიო პოლიფონისტთა ფესტივალში მონაწილეობდა. იქ 4 კონცერტი გაემართა. ამ კონცერტებს სხვა ტელევიზიებთან ერთად

ანსამბლ „აილინი“ ხელმძღვანელი, ხალხური სიმღერების ლობჯინა, სხვადასხვა ფესტივალის ლაურეატი, ღირსების ორდენის მფლობელი.

სურათებზე: 1. ანსამბლი „კრიმანჭული“ (მარცხნიდან, 1 რიგში): დიმიტრი მაღაჭონია, შალვა ჭანიშვილი, ნუზარ ხომერიკი, რეზო რამიშვილი, ბიძინა მუხამბაძე (ხელმძღვანელი), ანზორ არაბიძე. (მე-2 რიგში): ჭიჭიკო კეჭაყაძე, ნოდარ არაბიძე, გურამ ლლონიძე, შიშიკო მუხამბაძე.

2. ანსამბლი „ხელხავა“ (პირველ რიგში, მარცხნიდან): რეზო



ანსამბლი „ხელხავა“ (პირველ რიგში, მარცხნიდან): რეზო ფრანგულაშვილი, ანზორ ტულუში, კუპური სამსონია, ლაზარე ჩხაიძე; (მე-2 რიგში): ლუბიშვანი მაჭარაშვილი, იური ლომაძე, ალიკა ჩხაიძე, თამაზ დარჩია, იამა ჩხაიძე, ჟორა ლომაძე, რეზო როყვა, ზურაბ გოგელია (1973 წ.).

„ბი-ბი-სი“ იღებდა (შევიძლიათ ნახოთ ინტერნეტში „ფესტივალი „ომადი“). „აილინი“ ფესტივალზე სხვადასხვა ჟანრის 42 სიმღერა შეასრულა. „აილინი“ ამჟამად 17 წვერია. უფროსი წევრი –91 წლისაა, ხოლო უმცროსი –43 წლის. მართალია ანსამბლს რამდენიმე წევრი გამოაკლდა, მაგრამ ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერლები მივიღეთ.

კარგი იქნება, თუკი ჟურნალისტ ეთერ ქაღვიშვილის მსგავსად, დაინტერესდებიან ანსამბლ „აილინი“ ისტორიით და მსგავს საინტერესო ნაშრომს შექმნიან.

ბიძინა მუხამბაძე,

ფრანგულაშვილი, ანზორ ტულუში, კუპური სამსონია, ლაზარე ჩხაიძე; (მე-2 რიგში): ლუბიშვანი მაჭარაშვილი, იური ლომაძე, ალიკა ჩხაიძე, თამაზ დარჩია, იამა ჩხაიძე, ჟორა ლომაძე, რეზო როყვა, ზურაბ გოგელია (1973 წ.).

3. ანსამბლი „აილინი“ (პირველ რიგში მარცხნიდან): გ. ნიკოლაიშვილი, დ. ბაქანიძე, ვ. გობრონიძე, ს. დონაძე, ნ. ხავთასი, ბ. მუხამბაძე, თ. თავდუმაძე, ნ. როყვა; (მეორე რიგში): გ. ლლონიძე, კ. ბაქანიძე, მ. სვანიძე, ნ. მდინარაძე, ე. ლომთათიძე, მ. ჭოხოხელიძე, რ. თავდუშვილი, მჩხაიძე, დ. გუჯაბაძე (2017 წ.).



ანსამბლი „აილინი“ (პირველ რიგში მარცხნიდან): გ. ნიკოლაიშვილი, დ. ბაქანიძე, ვ. გობრონიძე, ს. დონაძე, ნ. ხავთასი, ბ. მუხამბაძე, თ. თავდუმაძე, ნ. როყვა; (მეორე რიგში): გ. ლლონიძე, კ. ბაქანიძე, მ. სვანიძე, ნ. მდინარაძე, ე. ლომთათიძე, მ. ჭოხოხელიძე, რ. თავდუშვილი, მჩხაიძე, დ. გუჯაბაძე (2017 წ.).

ოზურგეთის სალოტბარო სკოლის კურსდამთავრებულების პირველი გამოშვება

სალომე ჭანიშვილი, მარია ლუბაძე და ნიკა ბორჩხაძე სწავლის გაგრძელებას ბიორგი მთაწმინდელის სასწავლო სემინარიის სემინარიაში და გალოტბარის სასწავლო კურსში.



11 ივნისს ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში სალოტბარო სკოლის კურსდამთავრებულების პირველი გამოშვების ცერემონია შედგა. სკოლა წლეულს სამმა მოსწავლემ დაამთავრა.

აღსანიშნავია, რომ სამივე კურსდამთავრებული – სალომე ჭანიშვილი, მარია ლუბაძე და ნიკა ბორჩხაძე სწავლის გაგრძელებას ბიორგი მთაწმინდელის სასწავლო სემინარიის და გალოტბარის სასწავლო სემინარიის სემინარიაში აპირებენ.

ოზურგეთის სალოტბარო სკოლა 2015 წლიდან მოქმედებს, მოსწავლეებს საშუალება აქვთ, შეისწავლონ ქართული ხალხური სიმღერა, გალობა და ხალხური საკრავები.

პროექტ „ლიდერების“ დასკვნითი ღონისძიება

კვირციკის საჯარო სკოლაში გამართა ინგლისური ენის მასწავლებლის ქეთევან ნიკოლაშვილის პროექტის „ლიდერები“-ს დასკვნითი ღონისძიება, რომელიც 5 წელია წარმატებულად მიმდინარეობს.


პროექტი გულისხმობს სასწავლო წლის განმავლობაში, საგანგებო პროცესში აქტიურად ჩართული მოსწავლეების გამოვლენა- დაჯილდოებას. ამ სასწავლო წელს გამოვლინდა ორი ლიდერი კლასი: IV და VIII კლასები. უულოცავთ, ამ კლასების მოსწავლეებს გამარჯვებას და დიდ სიხარულს. ვუსურვებთ წარმატებას მომავალში. წარმატებებს და წინსვლას ვუსურვებთ პროექტის ხელმძღვანელ ქეთევან ნიკოლაშვილს, როგორც პირად, ასევე პროექტულ საქმიანობაში.



მილოცვა

შესანიშნავ ქალბატონს, საუკეთესო დიასახლისს, დედას, ბებიას ციალა მემარნიშვილ-ქავთარაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ოჯახურ ბედნიერებას. მარინა და ტარიელ კაკაბაძე.

ნოდარ ჯალაღონია – პოეტი-გამაყვანილი



პრიმანგული

რა მორჩილად ეღერე ხეები,
დირიჟორის ვოხის ყხები,
შენ კი საით, კრიმანგული,
ჯიუტად და ურჩო სული!
ეს რა ბეწვის ხიდზე მიხვალ,
ეს რა ნემსის ყურში ძვრები.
ყველა თავისუფლების გზა
მოფენილი არის ძვლებით.
ცისკენ ლოცვად წასულ თვალებს
და გულისთქმას რატომ ჰყვები.
ამ სურვილის და სითამამეს
შეგარჩენენ განა ხეები?!
სიმართლის მძიმე ტვირთი,
შენს აღმართზე მგაგებს უხმოდ.
შემდეგ დაღლილ ხმით და ფიქრით
ძირს დარჩენილ მოძებთ უხმოდ.
მაგრამ შენს გზას ვერ ვინ ატყა
და... მზად არის განაჩენი.
შემოგარტყეს ხეებმა ალყა
და მოხრჩობა უნდათ შენი.
აფთარივით გლანგავს კრინი
და ლომოვით გტორავს ბანი.
მაინც მაღლა,
მაღლა მიდის
დასისხლოლი შენი ტანი.
კრიმანგული, შენ ხარ იქნებ,
სიმღერებში გადასული,
მეამოხე კაცის ფიქრი,
აჯანყებულ კაცის სული...
თითქოს მიწა აღარ გყოფნის
და საუფლოს ეტე ცაში.
სულ ვოხის ქვეშ მონად ყოფნას
ჩანს, „სიკვდილი გივობს ცდამი“.

ყვანილობის მიწა

მზე და აბრელი ეღერება ქუჩებს,
თბილისი ტანზე გაზაფხულს იცვამს,
და ჟრუანტელად დამივლის უცებ:
– იყიდეთ მიწა!
ყვავილის მიწა!
იყიდეთ მიწა! – ეს ორი სიტყვა
მწარე დარდით და წუხილით მავსებს,
ცრემლების წვიმას, ტყვიების სეტყვას
თითქოს კვლავ ვხედავ თბილისის თავზე.
– იყიდეთ მიწა“ ეს ორი სიტყვა
სიმღერასავით ესმოდა სულითანს.
შემდეგ ვაჭრობდა ოუდა დიდხანს
და საქართველოს გაყიდვა სურდა.
საქართველოს კი ქება და ფასი
ემატებოდა კიდევ და კიდევ.
მონდოლი, თურქი, არაბი, სპარსი...
რა დაუღვევად ჩვენს მიწას მყიდველს.
– იყიდეთ მიწა! – ეს ორი სიტყვა
გარდასულ დღეთა წუხილით მავსებს.
და მე ვივინებ ტყვიების სეტყვას
და სისხლის წვიმას თბილისის თავზე.
ვივინებ ყველა დაცემულ ვაჟაკს,
ვინც მტერს და სიკვდილს არ დახვდა ლაჩრად,
ვისი სახელიც თბილისში დარჩა,
ვისი საფლავიც თბილისში არ ჩანს.
ვინც მტერს მარაბდა დაუსვა ძვირად

გუშინ, 16 ივნისს პოეტი ნოდარ ჯალაღონიას 85 წელი შეუსრულდებოდა. იგი გასული წლის 20 სექტემბერს ჩაიკრა გულში თავისმა სათაყვანებელმა სამშობლოს მიწამ. ან კი აქამდე როგორ გაძლო ქვეყნისა და ხალხისთვის მრავალგზის თავგანწირულმა კაცმა? რუსთაველზე ოკუპანტების ტანკსაც დაუწვა, ბინაც გაყიდა, გაზეთი „ლაშარის გორი“ დაარსა და ოჯახი თითქმის შიმშილისთვის გაიმეტა.

როცა „წითელი ინტელიგენცია“ ღუმდა და ამით ცხოვრებას იწყებდა, ბატონი ნოდარი გაბეულად ამხელდა თავის ლექსებს

და ახლაც მხოლოდ შენდობას ითხოვს. იქნებ მათ საფლავს წართვით ძილი, იქნებ მათ საფლავს წართვით სითბო. ხომ მიწად იქცა თამარის ძვლები და ახლა იქნებ იმ მიწას ჰყვით. ჩვენ კი თვალები გვეღვლება ტენით, ჩვენ კი დავდივართ კიდიდან კიდე. ის მიწა ახლა, რომ ჰყვით გრომად, ის მიწა, ასე ცივად რომ უმწერო, წინაპრებს ჩვენსას იმ მძიმე დროში, ავგაროზებად გვიდათ გულზე; რომ გული მუდამ ჰქონოდათ მტკიცე, რომ მკერდი მუდამ ჰქონოდათ თბილი; მიდიდნენ და შეკრული ფიცით ერთ მუცა მიწას აკლებდნენ თბილისს. მიდიდნენ და მამულის მადლი ბორკილთან ერთად მოჰქონდათ უბით, შემდეგ ის მიწა ხდებოდა მათი: სამშობლოც, ცრემლიც, საფლავიც, კუბოც. მიდიდნენ და მამულის ცდაზე ეხარჯებოდნენ ჯანი და ფიქრი. სიკვდილს, მოვარდნილს სამშობლოს ცაზე, ეხილდებოდნენ სამშობლოს იქით. და ჩვენი მიწა, თბილისის მიწა, მარაბდა თუ კრწანისის მიწა, დამწვარი ცეცხლით, დამწვარი სიციხით, ვინც საქართველოს თამარი მისცა, ვინც საქართველოს რუსთველი მისცა, არის დღევანდელი ცრემლი და სისხლი. ეს არის ჩვენი მამების ძვლები, რომელიც შემდეგ მამულად იქცა; ეს არის ჩვენი დედების ძვლები, რომელიც დედა-სამშობლოდ იქცა. ეს არის ჩვენი განვლილი წლები, რომელიც ქართლის ცხოვრებად იქცა. და მუსლიმთაგანი მე გახვეწებოთ: ნუ ჰყვით მიწას! ნუ ჰყვით მიწას“

შენ ცოტანს გული გომონია

ქიქვინება ეროვნულ გმირს, სამხატვრო
დაღუპულ ზაზა დამენიას

უბრალო ბიჭი ვინეო, თორემ შობილხარ
არწივად,
განადა მარტო მეგობრებს, გადაეფარე მოაწმინდას.
გადაეფარე დავითის და წინაპართა საფლავებს,
სამშობლოსათვის სიკვდილი, შენ უკვდავებად
ჩათვალე.

შენი ნებით და სიმტკიცით მომხდურმა ვერ იფრავა,
შენ სიყვარული მამულის ტანს გეცვა ჯაჭვის
პურანგად.
ქართველი მხედრის სახელი შენ დრომასავით ასწიე,
ჩვენი ბიჭების გულებიც მტრისთვის ნაღებად აქციე.

შენს სახელსა და შენს საფლავს თუმც
დაჰყურებენ მღუმარედ,
თუკი დასჭირდა სამშობლოს, აფეთქებდნენ უმაღვე.
აჩვენე სამშობლოსათვის რას ნიშნავს თავის დადება,
ნაღდი ვაჟაკის სიცოცხლე განა სიკვდილით
თავდება.

აქ განვილილ გზას და ცხოვრებას იქ წინაპრები
წინიან,
უბრალო ბიჭი გვევინე, შენ ცოტანეს გული გქონია.

შემინება ული დედაბი

სამწუხაროდ, ხშირად ასეთ სიტყვებს გაივინებთ:
„ბოზის შევილი ვიყო“, „ჩემი დედა მოე...“
რა გულით ანდა რა წიით ამბობთ სიბილწეს საოცარს.
ბიჭებო! როგორ იმეტებთ დედას – ხატსა და
სალოცავს.

ყველა ორგულს და სამშობლოს მოღალატეს. ნამდვილი მამულიშვილი, ფანატიზმამდე აყვანილი პატიოსნებით, იგი ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო. ერთნაირი სიყვარულით წერდა წარსულის დიდებაზე თუ თანამედროვეობის ყველა პრობლემაზე. ამიტომაც შეიყვარა ხალხმა სიცოცხლეშივე.

ნოდარ ჯალაღონია 1973 წელს გავიცანი ტელევიზიაში. რამდენიმე მისი ლექსი ზეპირად მასსოვდა. ძალიან გაიხარა. დიდხანს ვისაუბრეთ სამშობლოზე, მის უმშვენიერეს მეუღლეზე – ქალბატონ მანანაზე, რომელიც სიცოცხლის ბოლო წვეთამდე

მარილს რად აყრით სამშობლოს ისედაც გახსნილი
ჭრილობას,
კარგი დედა-მამის შეილებო, რად ვინდათ
ბოზიშვილობა.

ფუძის ანგელოზს რად აფრთხობთ და ეშმაკს
რატომ აბულებთ,
ცოცხლად რატომ კლავთ თქვენს დედებს და
სულში რატომ აფურთხებთ.

ეს არის დიდი სირცხვილი, სიგლახეცა და
სილაჩრეც,
როდესაც კაცი ამგვარ ფიქრს ენას და სიტყვას
მიაჩვევს.

დედაზე უფრო ძვირფასი ვინაა გყავს? რა გაბადათ?
დედა – ქართველი ვაჟაკის სალოცავი და ხატია!

2.
თუ ეს ცხოვრება, უაზრო, ფიქრს და გონებას
აფრთხევთ,
საკუთარ დედას რას ერჩით, ისინი ლანძღუთ, აფინეთ,
ვინც მარილა ბოზისშვილია, სამშობლო ფეხზე
ჰკიდა,

ღვანან მსოფლიო ბირჟაზე და საქართველოს ყიდა.
ვინც ოცნებები წაგართვით, დაგტოვით ქუჩის ამარა,
ვინც თქვენი ხეალინდელი დღე მოკლა და
დაასამარა.

ვინც ცხოვრობს გრილ-გრილით, ქვეყანა კი დაატყა,
ვინც ბერის დედა და შვილი მარილაც ბოზებად აქცია.
აფინეთ ქვეყნის გამყიდველს, მოღალატეს და გარეყარს,
ვინც 9 მარტსა და 9 აპრილს სიკვდილის კალი
გაღეწა.

ვინც ჩვენი გოგო-ბიჭები ნიჩბით აჩეხა, აწამა,
ვინც დღესაც, მანვილის ნაცვლად, ხელში გაჩქებთ
საწამლავს.

ვინც დღესაც გაცლით ხელიდან სამაჩაბლოს და
აფხაზეთს,
ამაზე უნდა იფიქროთ, უნდა იფიქროთ ამაზე.
თორემ რა სახელს მოიხვეჭთ, საკუთარ დედის
გინებით,
როდესაც დედა-სამშობლოს სული უჭირავს
კბილებით!

ვაი, საღამოე დაჰმეოთ

ვაი, საღამოე დავეცი, ვაი, საღამოე დავეცი,
გვირგვინს მზეთაზე თამარის და ტანტს
მძლეუთამდე დავითის,
ქურდაცაცების ყიყინით, „ინტელიგენტთა“

ნადართი,
ხელდახელ ეპოტინება ნაქურდალ-ნაყაჩაღარი.
თუმც მტრებთან ბევრჯერ დავმარცხდი
ღალატითა და სიმცირით.
ეს არის საქართველოსთვის ასახვერ მეტი სირცხვილი.

მიტმევა

დმერთო! შეუნდე შხამი და გესლი
და ის ძალღუი ბედი აქმარე,
ვინც დაიბედა მეტების გემით
ჩემს სიტყვას, ფიქრებს, გზას და ნაკვალევს.

მანანას

რადგან ეს გული გენდო თავიდან,
მოგონებები ვრჩები წარსულთან.
ქარიშხლიანი წლები წავიდა,
მაგრამ ის გრძობდა არსად წასულა.
იმ გრძობასა და იმ გატაცებას
ისევ ის წლები უღვას თავებდად,
შენ არ ვიჭირდა გულის გაცემა,
სამშობლოსათვის თავის დადება.
ჩემს თვალებში მამინ ისე ამჯღლი,
მეც სიმამცის გრძობით ამავსე,
ტყვიების წინ რომ იდექ ამაცი,
მეჩვენებოდი უფრო ლამაზი.

ულამაზებადა მას წუთისოფელს. მათ თავი-
ანთი საგზურით წამიყვანეს ბიჭვინთაში და-
სასვენებლად და დაუეწყარი დღეები გამატ-
არებინეს არაჩვეულებრივ საზოგადოებაში,
გამაცნეს ძმები ჭილაძეები, ვოვა სინარუ-
ლიძე თავისი ულამაზესი მეუღლით, რასულ
გამზატოვი და სხვა უამრავი სახელოვანი
ადამიანი.

გაზეთ „ალიონის“ საშუალებით, გა-
ვაზობთ ბატონი ნოდარის რამდენიმე ლექსს,
დაწერილს ზოგს სიჭაბუკეში, ზოგს – სი-
ცოცხლის ბოლო წლებში.

ნანა ჯახვა

რადგან იმ დღეებს გამოყოფილხარ,
გულის პასუხი ვისთვის მყითხა,
მეუღლისათვის მხოლოდ ცოლი ხარ,
პოეტისათვის უფრო მეტი ხარ.

ძალი, რომელიც გიყვარს

ბეგრი იმედი გაწილდება,
ბეგრი ოცნება გაცივდება...
მაგრამ, არასდროს არ გცივდება –
ქალი, რომელიც გიყვარს.
ხანდახან ყოფნა გაძნელებდა
და სიმართლე გავრთვლებდა...
მაგრამ, არასდროს არ გეზურდება –
ქალი, რომელიც გიყვარს.
წლებმა იციან გაძეტება,
სულს ბინდისფერი დაედება...
მაგრამ, არასდროს არ ბერდება –
ქალი, რომელიც გიყვარს.
კაცის სიცოცხლე ხანმოკლეა
მაღე ბალახი მოგედება...
მაგრამ, არასდროს არ მოკვდება –
ქალი, რომელიც გიყვარს.

პოეტს

როცა უჭირს საქართველოს,
მამინ უნდა ხსნა და შველა,
ახლა უნდა იფუქუნოს
შენმა ხმამ და სიტყვამ შენმა.
ახლა უნდა გამოისცადოს
ერმაც, ბერმაც, მტერმაც, დრომაც...
სამშობლო არ გააატეებს
დედის ღუმლის და განზე ღვომას.
უნდა ზიღო შენი ტვირთი,
დედის დედის და ხვალე – ხვალის,
ნუ გვინია, თითქოს უკვე
მოხდილი გაქვს ქვეყნის ვალი.
მეონისის კისერს მუდამ ადევს
ერის ტვირთი და მტრის ხმალი.
როცა ხედავ მამულს მტრისანს,
როცა ხედავ მამულს აყრილს,
სიტყვა უნდა გავედეს ტყვიას,
ლექსი უნდა გავედეს მანვილს.
თორემ შემდეგ რა ფასი აქვს
ან შენს ლექსებს, ანდა შენს ხმას,
გამარჯვებულ საქართველოს
ხოტბისა და ქების შესხმას.

გამღერებ

თოვლზე დაყრილია მხესუშხირა,
როგორც პაწაწინა კლავიშები,
და ბაღის მესტრო – ბელურები,
ნისკარტებს ურტყამენ გაგიყებთ.
ქალები – ცივ ქვეზე ჩამომსხდარნი,
ჩიტებს სიბრალულით შეჰყურებენ,
ქალები ყიდიან მხესუშხირას,
ქალებიც – მძიერი ბელურები.
ირგვლივ სიცივე და შიმშილია,
ბალი სევდის ფიფქით იბარდნება,
თოვლში გადაყრილი მხესუშხირით
შიმშილის სიმფონია იბადება.

თუნდ ბოდისფრას ვერ გადავურჩი

თუნდ ბედისწერა ვერ გადავურჩე,
მუხლზე დავდომას აღარ ვაპირებ,
ყვიდი სახლს, ავევს, ვაჟას და ჭურჭელს,
ერთადერთ ბეჭედს და ოქროს კბილებს.
რადგან ვარ ისევ ოცნების მკვიდრი
და ვღვავარ ისევ იმედის კართან,
ყვიდი ყველაფერს, ყველაფერს ყვიდი,
სამშობლოსა და სინდისის გარდა.

ნანი მასწავლებლობა - დიდი სიამაყე, უდიდესი პასუხისმგებლობა და პრესტიჟი



ავ-კარგის გარჩევა...
 მეამაყება ჩემი ყოფილი მოსწავლეები, მასარებს მათთან შეხვედრა, მათი ძველებური მოწიწება. ხშირად ყოფილა შემთხვევა, ჩემი ნამოწავარების შეილება გამიზრდა. ჩემთან მიღან წიწილასავით უმწიკობი, ფრთიანდებიან და მაღალ კლასებში უკვე თამამდ შებიჯებენ.
 ჩემთვის ჩემი პროფესია არის დიდი სიყვარული, სიამაყე უდიდესი პასუხისმგებლობა და პრესტიჟი. ვერ წარმომიდგენია ჩემთვის სხვა საქმიანობა.
 საზოგადოებრივ დღევანდელსაც არ გაურბიხარ, სკოლის პროფესიონალურ ორგანიზაციას უძღვებოდი წლების მანძილზე.
 ცხრამეტი წელიწადი ვიყავი პროფესიონალის სკოლის ორგანიზაციის თავმჯდომარე.
 გამოვიარეთ სიღატაკისა და უმუშეობის, 90-იანი წლები. საკუთარი თანხებით ვანერხებდი მასწავლებლებისათვის სურპრიზების მოწოდებას და ორგანიზაციის შენარჩუნებას. ოთხი წელი ოზურგეთის რაიონის მეთოდოლოგიის ხელმძღვანელი ვიყავი, ადრე განათლების სახალხო წარჩინებული გახლდით, გურიის საუკეთესო მასწავლებლის ტიტულიც მივიპოვე.
 მასწავლებლის, სანამ ამ ტიტულს მომანიჭებდნენ ოც კაციანი ჟური დაქვემდებარებული კლასში, ათი დღის დაწყებული იყო სწავლა, სურათების აღწერას ვსწავლობდით. ბავშვებს ვერ კიდევ კარგად ვერ გაერჩიათ სკოლა და საგანგებო ბაღი.
 წელიწადში რამდენიმე დღესასწაული მქონდა - ბავშვების მიღება სწავლის დაწყებისთანავე, ანაბნის ასნა, თქაბური გაკეთილები, ექსკურსიები.
 სკოლა ჩემი ცხოვრებაა და ასე მდინა ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს, რომელსაც ბავშვების სიყვარული ალამაზებდა იქ ვტოვებ.“
 ნანი საღვთობაზე ღირსების მედლის კავალერიც გახლავით. თუცა ვიღვლოებისა და ლაზარის სიტყვებით გამიჭირდება მისი გაკეთილების, მასთან ურთიერთობის ხიბლი ვადმოვცე.
 ეს ენერგოული, მშვენიერი, პროფესიონალი ქალბატონი პირველ სკოლას ღირსებას და ღაზათს მატებდა. უკვე ბევრი დანებული მშობელი შემხვდა პატარას ნანისთან მიბრუნებას რომ აპირებდა წელს. ზუსტად არავინ იცის რა მოხდება. მე კი სტატიის ბოლოს ნანის საგულდაგულოდ შენახულ სამსწავლო ალბომში, სადაც თბილი მოგონებები და ლექსებიცაა, ამოკითხულ სიტყვებს მოგაწვდით: - „თქვენი შემობრუნება კლასში დღესასწაული იყო, ყველაფერი ლამაზდებოდა, მშვენდებოდა, ოცნების მასწავლებელი ხართ, მოსიყვარულე, თბილი.“
 ანა ბერძენიშვილი, მასწავლებელია მასწავლებელი, მას ასე მიმართავა: „ - ჩემი მშვენიერი ქალბატონო! მშვენიერება მრავალგვარია, მაგრამ მასში მთავარია სულიერი და ფიზიკური. ორივე გამშვენებთ თქვენ, ჩემო ნანი: თქვენი შეხედვა ალექსანდრის დაამშვენებ, მწუხარეს - სიამეს მოჰკვრის, ეს დიდი მაღალია. სულიერება თქვენი ასევე დიდი და მშვენიერია. თქვენი სიყვარული მოყვასის მიმართ, თანაგრძობა, ყურადღება, ნათელ სხივებად გადმოღვრილი სითბო, რომ იცოდეთ, რა დიდია ეს ჩვენთვის ამ შეჭირებულ დროში.
 იყავ დღევანდელი და მხვედრები, მოგანიჭოს უფალმა კვლავც და კვლავც მაღლი სიკეთისა, რაიც არს წინაბჭვე ჩვენი ამქვეყნიური არსებობისა“.

ამ დღეებში პირველი საჯარო სკოლის მეთვლე კლასების გამოშვებას დავესწარი ნანი საღვთობის კლასში. საღამო ისეთი იყო, ნანი მასწავლებელს რომ სჩვევია: დიდი სიყვარულით, გემოვნებით, ოპორითა და მოწაყეთა ცოდნა, უნარ-ჩვევებით დაშვენებული. ოთხი წლის წინანდელი თვალცრემლიანი პატარები დღეს დამოუკიდებელი მოქალაქეები გამხდარან. მათში არის ჩვენი უკეთესი მომავლის საძირკველი, რომელიც მასწავლებლის და მშობელთა ერთობლივი შრომით შექმნილა.
 მასწავლებელმა სიმბოლურად ზარიც დარეკა - ცოდნისა და შრომისაკენ მოწოდება.
 ამ მშვენიერი საღამოსთვის განწყობითა და შინაარსით შეუფერებელი ინფორმაცია გამახსენდა - ნანი საღვთობაზე შესაძლოა სექტემბრიდან აღარ მოუხმოს ჩვეული სიყვარულითა და ენერგიით თვალხატულა პატარებს, რადგან ის უარს ამბობს სასერთოფიკაციო გამოცდის ჩაბრუნებაზე. ამბობს, გამოცდის ჩაბრუნების აუცილებლობა ჩემი განათლებისა და გამოცდილების უარყოფად მიმანიაო. განათლების სამინისტროს ულტიმატუმი კი ასეთია - ან გამოცდის ჩაბრუნება ან სკოლის დატოვება. რამდენად კანონიერია მოთხოვნა და პედაგოგისათვის ასეთი ალტერნატივის შეთავაზება შემდგომში გავარკვევ, ამჯერად, თავად მასწავლებელზე მივხედავ ვიამბოთ.

ნანი საღვთობაზე: „-სკოლაში ვასწავლი 45 წელია, დავიწყე პირველ-სემესტრისთვის, შემდგომში განანგობ-ლივებული ვეუფის მასწავლებელი ვიყავი, შემდეგ - დაწყებითების... პროფესიით ფოლოლოგი ვარ, მაგრამ ისე შემიყვარდა პატარები და მომეწონა მათთან მუშაობა, უარი ვთქვი ზედა კლასებში შესვლაზე.
 45 წლის მანძილზე ყველა დღე ვფიქრობდი ბავშვებზე, მათ პირიქითადად ჩამოყალიბებაზე სწავლასთან ერთად. ვირგებდით მსახიობების, ყურნალისტების, აქტიური მოქალაქეების, ქველმოქმედების როლებს, მიყვასის სიყვარულს ვსწავლობდით. სახლები მიყვარდა, კლასის გახუთის ეუფებდით. ვსტუმრობდით სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, ამგდარებს. ბატონ მამია კლაბესთანაც იყო ჩემი კლასი. მაღიან გაიხარა ნორჩების სტუმრობით ამგდარა ყურნალისტმა.
 თემატურ გაკეთილებსაც ვატარებდით და ვუძღვნიდით ჩვენს სახელოვან მოღვაწეებს, მწერლებს, ყოველ წელიწადს აღვნიშნავდით 9 აპრილს. „ასაქის ფესტივალზე“ ვმონაწილეობდით, სადაც შეიძლება ყველა ვიყავით და იმდია ბევრი გაუხარარი დღე აქვთ ჩემს მოსწავლეებს მოგონებათა ზურგანში. ისევ როგორც მე. დაუფიწყარა ცნობის-მოყვარეობით და ცოდნის წყურვილით შესწავნი მოპყრობილი გულბერძენი თვალები, მათთან ერთად აღმოჩენილი ანანი, საქართველოს ისტორია, მთა-ბარი,

ლია პილაძე

სტუმრად ცნობილ ჟურნალისტთან

ჩიკო, ცეკლა, „მაღლიერი დელზინები“ და მერაბ ბერძენიშვილის „ზარი“

ჩიკო და ცეკლა ეთერ ქაღვი-იშვილის თუთიყუშებია, მაღლიერი დელზინები კი სურათია მის სასტუმრო ოთახში, ამაზე კვემით.
 ამასწინათ, ჩემმ მეგობარმა ნინო ჯავახიშვილმე დამირეკა: ჩემი მოსწავლეები ეთერ ქაღვიშვილთან წასვლას მოხიზვენ და შენც წამდიო. მუზეუმში მომაკითხეს ესენი იყვენ ცხემლისხილის საჯარო სკოლის მოსწავლეები, მარამ ჭანუყვამე, ლიზი ბარამიძე, თიკო ტარიელაძე, მარამ სარაჯაშვილი, ავთო თიბიძე. ავთო წინ მიდიოდა, ხელში თაიგულით. ეტყობოდა, ქალბატონი ეთერის სადარბაზო, სართული და ბინა კარგად ახსოვდა. ადრეც სტუმრობდენ ეთერს თურმე.
 სამზარეულოში შეგვიძღვა. სწორედ აქ გავიცანი თიკო და ცეკლა, რომლებიც განუწყვეტლივ „მუსაიფობდნენ“.
 ურთიერთმოკითხვის შემდეგ ბავშვებს ესაუბრა მშობლიურ ენაზე, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე“, რომელიც იქვე ელო. ეს ჩემი საყვარელი წიგნია და ყოველდღე ვკითხულობო. შემდეგ მეგობრობას და მეგობრობს შეეხო და თბილად მოიგონა თავისი ბავშვობის მეგობარი ვოვა სიხარულიძე.
 სოფელ ცხემლისხილზეც ვისაუბრეთ, სოფლის სახელოვან ადამიანებზე, მე რატომღაც ძმები ბერძენიშვილები გამახსენდა და ელგუჯა ბერძენიშვილის „ხასანბეგურადან“ ვთქვი ჩემთვის საყვარელი ფრაზები, ამ დროს ერთმა გოგონამ მერაბ ბერძენიშვილის „ზარი“ ასწავლა, ჩვენ ეს მოთხრობა მეშვიდე კლასში ვისწავლეთო, სიმართლე გითხრათ, ეს მოთხრობა არ ვიცოდი, რადგან ჩემს ბავშვობაში სკოლაში არ ისწავლებოდა. სახლში დაბრუნებულმა მოვინახე სასწრაფოდ, სიამოვნებით წავიკითხე და ისე მომეწონა, მინდა მკითხველი ბავშვობაში დაეაბრუნო თუ როგორ იგონებს მსოფლიო დანის მხატვარი, გრაფიკოსი, მოქანდაკე, ბავშვობის საუკეთესო წლებს და მის დამოკიდებულებას ზარისადმი, რომელიც ტყეში იპოვა:

„ერთხელ დახლართულ და დაბურულ ტოტების სიღრმეში პატარა ზარი შევაძინე. ეტყობოდა, იგი აღარ ჭირდებოდა სოფელს, ამიტომაც მივიწყებოდა. ორი. დღე მოუვინდი მის ჩამოსხნას, მთელი დღე სოფელში ზარის წკრიალა ხმა ისმოდა, ბიჭები სანახავადაც კი მოდიოდნენ. ნელ-ნელა ზარის გამოძებული ხმა მოსახერხებელი გახდა სოფლისათვის, განსაკუთრებით დამით, მე კი დამით მიყვარდა მისი რეკვა. ჩემი ძმა სხვა ბუნების კაცი იყო, „მე შენს ადგილას აი რას ვიზამდი,“ - მითხრა მან ერთ დღეს -სოფლის სკოლას, ზარის მაგივრად რკინის ხერხის ნატეხი უკიდია, წაიღე და მის ნაცვლად ეს ზარი შეაბი“ ასეც მოვიქციე, ნაცნობი ხმა ყოველ დღით მესალმებოდა.
 ჩემი დამირეგებელი ძალზე ანხილი ქალი იყო ყოველ წვილამანზე ყველას გარეთ აგდებდა, მეც ხშირად ვიყავი ამ დღეში, მაგრამ „როგორც კი გამაგდებდნენ, იმ წამსვე ზარს ვხიდი ზურგზე გადავიკიდებდი და რეკითა და წკარუნით გავიდიდი ეზოდან. ძალე შემომესმებოდა: დააბრუნეთ, - ეს სკოლის დირექტორის ხმა იყო, რომელიც დამიყვავებდა და მეც ზარს თავის ადგილას დავებდი ეს ამბავი იმდენჯერ განმეორდა, რომ სკოლის ბავშვები ზურგზე ზარით თუ დამინახავდნენ, იმწამსვე დირექტორთან გარბოდნენ ყვირილით -მაიქეს, პატივცემულო, მაიქეს, დააბრუნეთ იყვირებდა დირექტორი და მეც მარბუნებდენ. ერთხელაც ზარმოკიდებული გავედი, წვიმიანი დღე იყო ვერავინ შემამჩნია, მე ავტებე ზარის რეკვა, ამაზე წამოიშალენ სკოლის მოსწავლეები, ისეც დამიყვავა სკოლის დირექტორმა, დამირეგებელმა მომიღერსა, თანატოლებიც შემეხვეწნენ. მე ზარი თავის ადგილას შევაბი და სამჭედლოში გავექანდი, მთელი დღე იქ ვაგატარე, მაღამის სახლში მოვბრუნდი, ჩემ ძმას თეთრი ხის მორისაგან გიორგი სააკაძე გამოეთალა, პატარა ნაჯახის-ავან და სამყენი დანისაგან, ხელები სულ დაჭრილი და დასისხლიანებული ჰქონდა. ეს პირველი ქანდაკება

იყო ჩვენს სახლში. მე იგი ძალზე შემეყვარდა, სულ იმას ვფიქრობდი, შევძლებდი თუ არა მეც ისეთის გაკეთებას (შეძლო მერე და როგორ!!! - ავტ). ქანდაკების ყოველ რეპროდუქციას, რაც იშვიათი იყო გურიამში, სასოებით ვაკრავდი კედელზე, ვჭრიდი „ცნობის ფურცლის“ ძველი ნომრებიდან.
 ზარის წკრიალა ხმას ახლაც ვიხსენებ. იგი ალბათ ისევ რეკავს ძველებურად, მაგრამ არავის ახსოვს, გიორგი სააკაძეზე კი, ვისაც არ უნდა კითხო სოფელში, ყველა გეტყვის: „აბა წაღდიოთ გამოაკობითა ისეთი ვაჟკაცი, მართლა გიორგი სააკაძე გეგონებოდაო“. შემოქმედებას, თუნდაც მცირედსაც, როცა იგი წრფელია და ნამდვილი, ვერ დაივიწყებ“. (მერაბ ბერძენიშვილი, „ზარი“).

დავბრუნდეთ სტუმრობას, სანამ ქალბატონი ეთერი ბავშვებს თავისი ხატების ოთახში გაიყვანდა, მანამდე ბავშვებმა „მრავალჟამიერი“ იმდერეს, რას ვხედავ: თუთიყუშებმა უღურტული შეწყვიტეს გვერდივერ დასხდნენ და გაისუსნენ. ჩემს გაკვირებაზე ეთერმა მითხრა სიმღერის გაგონებაზე ასე იცინაო, მერე დაამატა მხოლოდ ქართულისო - პატრონს დამგვანებინა - მეოქი, - ვუთხარი.


ბავშვებმა ხატებთან ილოცეს. ბოლოს ქალბატონმა ეთერმა სასტუმრო ოთახში „მაღლიერი დელზინების“ სურათთან მივიყვანა და დაიწყო თხრობა: „ერთხელ სოჭში ვისვენებდი, ზღვამ ნაპირზე დაჭრილი ზვიგენი გამორიყა, ხალხმა ჭრილობა შეუხვია, უწამლა და ისევ ზღვაში გაუშვა. ცოტა ხანში მოვიდა ზვიგენების მთელი ჯგუფი და მაღლიერების ნიშნად ცეკვა დაიწყეს. ეს ამბავი ჩემს ახლობელს მოუყვავი და ეს სურათი დამინახა. მაღლიერება დიდი გრძობაა, ბავშვებო, უთხრა ქალბატონმა ეთერმა „პატარა მეგობრებს“ და საჩუქრად თავისი წიგნი „ჩემი ჟურნალისტური ფაქტურა“ აჩუქა.

მანანა ლომაძე

1841 წლის აჯანყება გურიაში

იბეძევა მასკალური უფლები

დასასრული დასაწყისი იხილეთ „ალიონი“ №5-8, 10-11, 15, 18, 20, 22-23



5. 1841 წლის გურიის აჯანყების ისტორიული მნიშვნელობა. გურიის აჯანყება ეროვნული მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, ეს იყო რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული დიდი სახალხო მოძრაობა, რომელშიც გურიის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა

გიულ პუნქტებს, როგორც იყო ოზურგეთი და ფოთი. გურიის აჯანყების ჩახშობა მხოლოდ სერიოზული სამხედრო ძალისა და ტექნიკის მობილიზების შემდეგ გახდა შესაძლებელი. 1841 წლის მისიდან სექტემბრამდე, კავკასიის მთავარ-არდალი, კავკასიის კორპუსის შტაბი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი შემოფოთებით ადვენებდნენ თვალყურს გურიაში მიმდინარე მოვლენებს. რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა გურიის აჯანყების გამო ჩრდილო კავკასიაში უბიხების წინააღმდეგ დაეგვილი სამხედრო ექსპედიციაც კი გაეღებო. აჯანყების დროს დაღვრილი სისხლი ზრდიდა ზიზღს დამპყრობლისადმი, რაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად აფერხებდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის განხორციელებას.

ნახეთ, კარგი სპექტაკლია!



ალიონი. ოზურგეთის ალ. წუწუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი სასწაულებს ახდენს. დროებით „ნავსაფულეში“ – გურიანთის კულტურის სახლში პრემიერას პრემიერა ცვლის და აპლოდისმენტებს აპლოდისმენტებს. ალტაყეული მაცურებლის

ყელ-იდან ამოხეთქილი ბრავოს ექი კი ხან გურიაში დანაგარდობს, ხან კიდევ – ბულგარეთსა და უკრაინაში.
11 ივნისს თეატრმა ოზურგეთელებს მორიგი პრემიერა წარუდგინა, თუმცა, რა მორიგი, როცა პტუშკინას „სანამ ის კვლავიდას“ მიხედვით ა. ვარსკვლავის ინსცენირება „ზამთარი იგი...“ მოწვეულმა

თბილისელმა ახალგაზრდა რეჟისორმა და მუსიკალურმა გამფორმებელმა **კახა გოგიტიძე** ისე ორიენტირებულად და დინამიურად ჩაათვატრალა, რომ გურულები ხანგრძლივი ტაშის კვირის ხასიათზე დააყენა. ტაშს კი გურიაში დაუმსახურებლად არავის უკრავენ.
ბრავო!

ახლა რომ **ბელა კიკვაძის** მაღალ სამეცნიერო ოსტატობაზე დავიწყო საუბარი, მკითხველმა შეიძლება გამაქილიკოს, „ამერიკა უკვე აღმოჩენილიაო“, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ქალბატონმა ბელამ რადიკალური დაუოკებელი სოფიკო გვარჯუა. ვერ წარმოძღვრინა თუ ეს საოცრად მოძრავი ქალი ერთი საათისა და ათი წუთის განმავლობაში უნარშეზღუდულის ეტლში გაძლებდა. ერთი გაფიქრება გაფიქრე კიდევ, ფინალში მაინც ამოხტება-შეთქი ამ ეტლიდან.
რაც შეეხება **თეა კვკვაძეს**, მან ისეთი „შემბმელი“ ქალი (თინა) გამოძერწა, დარწმუნებული ვარ, დარბაზში მყოფ მამაკაცთაგან რამდენიმემ ნამდვილად ინაბრა ზვიად ვორბენაძის როლში (ირაკლი) ყოფნა.
თვით **ზვიად ვორბენაძე** კი, ირაკლის



როლში, ჩემი აზრით, ბოლომდე გაიხსნა და მაცურებლის სიმბათიებიც დაიმსახურა.
ცალკე უნდა შევხედოთ თეატრის სტუდიულ **შორენა სისარულიძეზე**, „ემშაკის ფენს“ რომ იტყვიან, ისეთი ლიზი შექმნა.
სპექტაკლის დამთავრებისა და ოცუციების დაცხრობის შემდეგ არავის

უთქვამს „კარგია, მაგრამ...“, ყველამ თქვა: „კარგია!!!“
ერთი სიტყვით, პრემიერა შედგა, „ზამთარი იგი...“ დიდებული სპექტაკლია და დირს მისი ნახვა.

გულო ბებოს თოჯინები საქართველოში მოგზაურობენ

ალიონი. თოჯინების ოსტატი და მეზღაპრე გურული გულო ბებო (**გულნარა მიქანაძე-სვანიძისა**) იტალიიდან ბათუმში 5 ივნისს ჩამოფრენდა. გასულ პარასკევს, 14 ივნისს უკვე მისი მინიატურული თოჯინები ოზურგეთში, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის კაფე „რვას+1-ში“ „იცინოდნენ“. საქმე ისაა, რომ გულო ბებოს სრულქმნილმა „შვილობილებმა“ საქართველოში მოგზაურობა გადაწყვიტეს და ეს მოგზაურობა ოზურგეთიდან დაიწყო.

და საჩინო გამოფენა იხილეს, რომლითაც, სხვებთან ერთად, ადგილობრივი პროფესიონალი მხატვრებიც დაინტერესდნენ.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა **ნანა თავლეშაძემ** და ოზურგეთის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **გია მამაკაიშვილმა** სტუმარს შესთავაზეს, ჩაერთოს პროექტში, რომელსაც ოზურგეთელები ლიეტუველებთან ერთად ახორციელებენ. ვენეციელმა გურულმა ქალბატონმა, რომელიც ქველმოქმედებას უწევს ლეიკემით დაავადებულებს, გამოფენის მონაწილეებს თავისი

წიგნებად გამოცემული ზღაპრები და სუვენირები უსასხორა.
19 ივნისს გულო ბებოს თოჯინები თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზის „აკლესას“ აპირებენ; შემდეგ, 23 ივნისს ქუთათურებს ეწვევიან და კიდევ ერთხელ გამოუტყდებიან სიყვარულში, მერე ისევ შავიზღვიპირეთს პუკლებით მოეფინებიან და 28 ივნისს ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში თავიანთ ხვამიადს „გაასაჯაროებენ“, 1 ივლისს კი აპენინის ნახევარკუნძულისკენ აიღებენ გეზს.



„რესპუბლის“ საანგარიშო კონცერტი გაიმართა



„რესპუბლმა“ მაცურებელს თავისი 12 წლიანი მემობის შედეგი გააცნო. სცენაზე „რესპუბლის“ რამდენიმე თაობა პარმონოლად ენაცვლებოდა ერთმანეთს. პატარა **ბარბარე სოსელიამ** თავის მასწავლებელ, ფოტინე გორდელაძესთან ერთად, ავკსენტუ მერელიძის „ნანა“ შესრულა, რომლის ნამღერმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.
„რესპუბლმა“ დამსწრე საზოგადოებას მრავალფეროვანი რეპერტუარი წარუდგინა. გურულ ფოლკლორს ქალაქური ფანრის სიმღერები ენაცვლებო-

და, კონცერტის დასასრულს გოგონებმა აფრიკული რიტმული სიმღერა შესრულეს, რომელმაც განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. კონცერტი ჯანო კახიძის „შერეკილების“ კომპოზიციით დასრულდა. ღონისძიებას გურიის მხარის რწმუნებული ზურაბ ნასარაია, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.
ანსამბლი „რესპული“ 12 წელია ფუნქციონირებს. ანსამბლის ხელმძღვანელი ფოტინე გორდელაძე გახლავთ.

როცა „დიდები“ ხდებიან

ანასეულის №5 საჯარო სკოლის (დირექტორი **ქეთევან ქაღვიშვილი**) დაწყებით ვჯგუფის გამოშვების საღამო სამასხორო იქნება დასწრე მშობლებისა და პედაგოგებისთვის.
3 ფერია და 10 ველტმენი ლექსით, სიმღერით, ცეკვით გამოგვიკვებდნენ იმ ცოდნას, რაც მათ შეიძინეს 4 წლის მანძილზე. კლასის დამრიგებელი **სათუნა გობრიონიძე** ვჯგუ კულისებიდან ამხნევედა მის აღზრდილებს, შემდეგ თავად ჩაჯდა მათ რიგებში და დამსწრეთა ოვაციებიც დაიმსახურა.

მარიამ ცხომელიძეს, **მარიამ თამაზაშვილს**, **ლიზი ჯაშს** პარტნიორობას უწევდნენ **გიორგი მურცხვალაძე**, **დავით სურგულაძე**, **ზურაბ ჯანგველაძე**, **ოთო ზაქარაძე**, **გიორგი ფრანგიშვილი**, **გიორგი ჯაიშვილი**, **ლუკა გოგრაჭაძე**, **ლადო გოლიაძე**, **არმან ბალოზიანი**, **ერეკლე კონტრბე**.
უნდა აღინიშნოს, სკოლის მუსიკის მასწავლებლის ღამზირა მიქაძის დამსახურება გამოშვების საღამოს მუსიკალურ გაფორმებაში.



7 დღის ამინდის პროგნოზი

ელჭამი +18+28 17 ივნისი ორშაბათი	ღრუბელი +17+26 18 ივნისი სამშაბათი	ელ-ჭამი +17+24 19 ივნისი ოთხშაბათი	მზა, ღრუბელი +18+26 20 ივნისი ხუთშაბათი	ღრუბელი +17+24 21 ივნისი პარასკევი	მცირე წვიმა +18+25 22 ივნისი შაბათი	ელჭამი +18+25 23 ივნისი კვირა
--	--	--	---	--	---	---